სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
24.10.2017 N 198
თბილისი

სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ
ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდებისა და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების მე-9 მუხლისა (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ოქტომბრის #2618 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ ადგილებზე, 4 (ოთხი) წლის უფლებამოსილების ვადით წარმომადგენლების ასარჩევად დაინიშნოს არჩევნები 2017 წლის 14 ნოემბერს.
2. არჩევნები გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე ფაკულტეტების მიხედვით:
   ა) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი – 2 ვაკანტური ადგილი;
   ბ) ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 2 ვაკანტური ადგილი;
   გ) საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი.

3. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც სტუ-ს ზემოთ აღნიშნულ ფაკულტეტზე უკავია პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობა და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ მოთხოვნებს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელსაც სხვა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 1 ნოემბერს და დასრულდეს 2017 წლის 7 ნოემბერს.

5. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

5. ზემოთ ჩამოთვლილი ფაკულტეტების საბჭოებმა უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა ფაკულტეტების საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

7. არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

8. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

9. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნების დღიდან.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი *გ.მაისურაძე*